თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4838000

ნომერი: AR1727399

თარიღი : 04.01.2020

გაცემის თარიღი : 28.01.2020

გაცნობის თარიღი : 28.01.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ჯავახეთის II შესახვევი, N 9ა;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით გაბუნია პ/ნ 62005002580
- ლერმონტოვის ქ. 18 ბ18

ორგანიზაცია:
- შპს კვგ ჯგუფი კოდი: 454409907

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 27 აგვისტოს №4628518 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 4 იანვარს №AR1727399 განცხადებით მომართა დავით გაბუნიამ და მოითხოვა სამსახურის 2019 წლის 27 აგვისტოს №4628518 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 27 აგვისტოს №4628518 ბრძანებით შეთანხმდა, ქ. თბილისში, სექტორი სამგორი, შესახვევი ჯავახეთის II, №9ა-ში, №01.19.20.008.071 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. სამსახურის 2019 წლის 9 სექტემბრის №4657214 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 9 სექტემბრიდან 2021 წლის 9 სექტემბრის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ საერთო ფართობად 7884.0 კვ.მ-ის დაფიქსირებას ნაცვლად 7939.3 კვ.მ-ისა, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 711.5 კვ.მ-ის დაფიქსირებას ნაცვლად 756.5 კვ.მ-ისა, საზაფხულო ფართობად 748.8 კვ.მ-ის დაფიქსირებას ნაცვლად 759.1 კვ.მ-ისა

სამსახურმა შეისწავლა 2019 წლის 1 აგვისტოს №AR1698142 განცხადებაზე დართული გეგმა-ნახაზები და დაადგინდა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა დაფიქსირებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები, კერძოდ 2019 წლის 27 აგვისტოს №4628518 ბრძანებაში საერთო ფართობად 7939.3 კვ.მ-ის ნაცვლად მითითებული უნდა იყოს 7884 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 756.5 კვ.მ-ის ნაცვლად მითითებული უნდა იყოს 711.5 კვ.მ, საზაფხულო ფართობად 759.1 კვ.მ-ის ნაცვლად დაფიქსირებული უნდა იყოს 748.8 კვ.მ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 27 აგვისტოს №4628518 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 27 აგვისტოს №4628518 ბრძანებაში და საერთო ფართობად მიეთითოს 7884.0 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 711.5 კვ.მ, საზაფხულო ფართობად 748.8 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 27 აგვისტოს №4628518 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 27 აგვისტოს №4628518 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.